



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2013 წლის 22 ივლისი
 №958 დადგენილებით
მოდულიზებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2013
 წლის 8 ოქტომბრის
 №984 დადგენილებით

სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი - 080360
Specialist clothing product
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

- I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება –სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი
- II. პროფესიული განათლების საფეხური – მეხუთე
- III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია
- IV. პროგრამის მოცულობა – 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ), სულ 1500 საათი.
 აქედან:
 30 კრედიტი (750 საათი) სასწავლო კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი - 360; დამოუკიდებელი - 334, შუალედური/დასკვნითი შეფასება - 56)
 30 კრედიტი (750 საათი) პრაქტიკის კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი - 750)
- V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
- VI. პროფესიული პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს მეხუთე საფეხურის სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, რომელსაც პროფესიული სწავლების V დონის შესაბამისად შეეძლება მოდელის შექმნა გარკვეული დამოუკიდებლობით, მისი ტექნოლოგიური დამუშავება და საჭირო მანქანა-დანადგარების გამოყენება.

VII. სწავლის შედეგი:
მისაღწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს.</p>	<p>კურსდამთავრებულს აქვს მრავალმხრივი და ზედა ტანსაცმლის ასორტიმენტის სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რომლის ბაზაზე მას შეუძლია ნაწარმის ფუნქციის, ასორტიმენტის კლასიფიკაციისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით დამოუკიდებლად გადაწყვიტოს მასალაში შესრულებისათვის საჭირო ტექნიკური ამოცანები. იცის ბავშვის, ქალისა და მამაკაცის ზედა ტანსაცმლის ასორტიმენტის (პალტო, ნახევრადპალტო, ქურთუკი, ლაზადა) ესკიზური და ტექნიკური აღწერილობის მიხედვით კონსტრუქციული ნახაზის აგება, ტექნიკური შესრულება, თბურდანამვითი ოპერაციების შერჩევა. აცნობიერებს ზედა ტანსაცმლის</p>
-------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

		<p>ასორტიმენტის სამკერვალო ნაწარმის კონსტრუქციულ-პლასტიკურ თავისებურებებს, ტექნიკურ მახასიათებლებს, ნაწარმის საპროექტო სამუშაოს შესრულების ეტაპებსა და ახალი მოდელის შექმნისათვის საჭირო მეთოდებს. აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს, რომელიც საჭიროა ბავშვის, ქალისა და მამაკაცის ზედა ტანსაცმლის ასორტიმენტის პროექტირებისათვის. იცნობს ზედა ტანსაცმლის ასორტიმენტის კონსტრუქციას, ტანსაცმლის დეტალების ძაფური შეერთების მეთოდებს, ნაკერის აგებას, საფიქრო მასალების გავლენას, ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიურ პროცესზე, ტანსაცმლის ნაწილების შესაერთებლად საჭირო ხერხებსა და საშუალებებს, აქვს ძირითადი, დამხმარე და გასაფორმებელი მასალების თვისებათა ცოდნა და კონსტრუქციულ-ტექნიკურ პროცესებში მათი პრაქტიკულად გამოყენების უნარი. აქვს ერთიანი საწარმოო პროცესის კონკრეტულ მონაკვეთზე ტექნიკური ციკლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი. იცნობს სამკერვალო სპეციალური მანქანების ტექნიკურ შესაძლებლობებს და მათი გამოყენების სფეროებს. შეუძლია დაგეგმილი პროცესის მოცემულ ვადაში რაციონალურად განაწილება.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი პრაქტიკული სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემის შემოქმედებით და გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება. აქვს ერთიანი საწარმოო პროცესის კონკრეტულ მონაკვეთზე ტექნიკური ციკლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი. თარგის ტექნიკური დეტალიზაციისა და მოდელში პრაქტიკულად განხორციელების უნარი. შეუძლია ბავშვის, ქალისა და მამაკაცის ზედა ტანსაცმლის ასორტიმენტის (პალტო, ნახევრადპალტო, ქურთუკი, ლაბადა) მასალაში შესრულებისათვის დამოუკიდებლად შეარჩიოს ოპტიმალური კონსტრუქციული და ტექნოლოგიური პროექტირების მეთოდები. აქვს წარმოებაში მოცემულ საფეხურზე ტექნიკური პროცესების თანმდევნი პრობლემის გადაჭრის მართებული დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარი.</p>
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრულ პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების ოდენტიფიცირება და ანალიზი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული</p>

	სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.	შედეგის ანალიზი. შეუძლია მსუბუქი სამრეწველო ნაწარმის სპეციფიკური პრობლემის აღმოფხვრა, შესაბამისი ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებებით.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციების გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებულ ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	აქვს კომპიუტერზე მუშაობის საბაზისო ცოდნა, უცხო ენის საბაზისო ცოდნა და იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს შესასრულებელი სამუშაოს შესაბამის დონეზე.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა, ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულების განსაზღვრა პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების შემდგომი გაღრმავების მიზნით. აქვს დიზაინის მიმართულების საბაკალავრო განათლების საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობა.
ღირებულებები	აფასებს თვისი და სხვების დამოკიდებულებას. პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი.	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს - სიზუსტეს, პუნქტუალობას, ორგანიზებულობას. აქვს უნარი, დაგეგმოს და შეუფერხებლად წარმართოს სამუშაო პროცესი, იცავს ეთიკისა და მორალის ნორმებს.

VIII. დასაქმების სფერო: სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის დასაქმების არეალია მოდის დიზაინის კომპანიები, მცირე და მსხვილი სამკერვალო საწარმოები, ფაბრიკები, მოდის ატელიეები. შრომის ბაზრის ნაწილი თვითდასაქმებულთა სეგმენტზე მოდის: ინდივიდუალური კერვა, ინდივიდუალური მეწარმეობა, კერძო/მცირე ბიზნესი.

IX. სწავლის შედეგების რუქა

საგნები	სასწავლო კურსის კოდი	ცოდნადა გაცნობიერება	ცოდნისპრაქტიკაში იგამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
სამკერვალო ნაწარმის მოდელირება და კონსტრუირება	DECTP05	X	X				
სამკერვალო ნაწარმის ტექნოლოგია და პრაქტიკა	TPTPR05	X		X			
ინგლისურიენა 1 - B2	ENG5P07	X	X		X		
ინფორმატიკა 2	INF2P08	X	X		X		
სამკერვალო ნაწარმის კონსტრუირება,	TPCTP05		X			X	

ტექნოლოგია და პრაქტიკა							
სამკერვალო ნაწარმის მოდელირების კომპოზიცია და სამოსის მხატვრული გაფორმება და აქსესუარები	MCTPD05	X					X
სამკერვალო ნაწარმის კომპოზიციის მასალაში შესრულება	TPCMA05		X				X

X. სასწავლო გეგმა I სემესტრი

საგანი	სასწავლო კურსის კოდი	კრედიტებისრაოდენობა	საათებისრაოდენობა					სულსაათებისრაოდენობა	
			საკონტაქტოსაათები						
			ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლოპრაქტიკა	საწარმოპრაქტიკა	შუალედური/დასკვნითიშეფასება		დამოუკიდებელისაათები
სამკერვალო ნაწარმის მოდელირება და კონსტრუირება	DECTP05	3	15/15				6/2	37	75
სამკერვალო ნაწარმის ტექნოლოგია და პრაქტიკა	TPTPR05	3	15/15				6/2	37	75
		15			375				375
ინგლისურიენა 1 - B2	ENG5P07	5	60				6/2	57	125
ინფორმატიკა 2	INF2P08	5	60				6/2	57	125
სულ I:		31	180		375		32	188	775

II სემესტრი

საგანი	სასწავლო კურსის კოდი	კრედიტებისრაოდენობა	საათებისრაოდენობა					სულსაათებისრაოდენობა
			საკონტაქტოსაათები					
			ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლოპრაქტიკა	საწარმოპრაქტიკა	შუალედური/დასკვნითიშეფასება	დამოუკიდებელისაათები

			ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლოპრაქტიკა	საწარმოპრაქტიკა	შუალედური/დასკვნითიშეფასება		
სამკერვალო ნაწარმის კონსტრუირება, ტექნოლოგია და პრაქტიკა	TPCTP05	4 15	15/30			375	6/2	47	100 375
სამკერვალო ნაწარმის მოდელირების კომპოზიცია და სამოსის მხატვრული გაფორმება და აქსესუარები	MCTPD05	3	/30				6/2	37	75
სამკერვალო ნაწარმის კომპოზიციის მასალაში შესრულება	TPCMA05	7	/105				6/2	62	175
სულ II :		29	180			375	24	146	725
სულ		60	360			375	56	334	1500

შენიშვნა:

სასწავლო სემესტრი 20 კვირიანია:

15 კვირა სასწავლო პროცესისათვის, 3 კვირა შუალედური შეფასებებისათვის, 2 კვირა გამოცდისათვის და განმეორებითი გამოცდისათვის.

მე-18 კვირა III შუალედური შეფასებისათვის;

მე-19 კვირა გამოცდისათვის, მე-20 კვირა განმეორებითი გამოცდისათვის (აუცილებელი 10 დღიანი ინტერვალის დაცვით).

თითოეულ საგანში შეფასებებისათვის განკუთვნილი დრო - 8 საათი.

1. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ მხოლოდ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და არა აქვთ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

გამოცდა - 2 სთ. თეორია;

2. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და მხოლოდ სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

გამოცდა - 2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

XI. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას;
- ტესტების ჩაბარებას;
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

XII. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (B) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება;
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტირება;
- წერიტი დავალები;
- პრაქტიკის ანგარიში/პრეზენტაცია

(სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები იხილეთ სასწავლო კურსის სილაბუსებში და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის დღიურებში (დანართი 1, დანართი 2))

XIII.სწავლების ფორმები:

თეორიული სწავლება;
 პრაქტიკული მეცადინეობა;
 სასწავლო პრაქტიკა;
 საწარმოო პრაქტიკა;
 დამოუკიდებელი სამუშაო.

სწავლის მეთოდები:

ინტერაქტიული სწავლება; ჯგუფური მუშაობა; სწავლების დედუქციური მეთოდი; ახსნაგანმარტებითი მეთოდი; წერიტი მუშაობის მეთოდი; პრაქტიკული მეთოდი.
 სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები იხილეთ სასწავლო კურსის სილაბუსებში.

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ ადამიანური რესურსების შესახებ

კურსი/მოდული/საგანი	სასწავლო კურსის კოდი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
სამკერვალო ნაწარმის მოდელირება და კონსტრუირება	DECTP05	ლურსმანაშვილი ლია	სამკერვალო ნაწარმის ტექნოლოგი
სამკერვალო ნაწარმის ტექნოლოგია და პრაქტიკა	TPTPR05	დევიძე ლიანა	სამკერვალო ნაწარმის ტექნოლოგი
ინგლისურიენა 1 - B2	ENG5P07	ანა ვანიშვილი	ინგლისური ენის სპეციალისტი
ინფორმატიკა 2	INF2P08	ელენე ოქრომელიძე	ინჟინერ-ელექტრიკოსი, (ელექტრო-გამომთვლელი

			მანქანები)
სამკერვალო კონსტრუირება, და პრაქტიკა	ნაწარმის ტექნოლოგია	TPCTP05	დევიდე ლიანა სამკერვალო ნაწარმის ტექნოლოგი
სამკერვალო მოდელირების და სამოსის გაფორმება და აქსესუარები	ნაწარმის კომპოზიცია მხატვრული	MCTPD05	გზირიშვილი ნინო მხატვარ-მოდელიორი, აკადემიური დოქტორი
სამკერვალო კომპოზიციის შესრულება	ნაწარმის მასალაში	TPCMA05	ლია კაპანაძე ტყავის ნაწარმის ტექნოლოგი

XV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუ-ს 1 კორპუსი, პოლიგრაფიისა და მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიების დეპარტამენტის სასწავლო საწარმოო-ლაბორატორია.

XVI. საწარმოსწავლება/სასწავლო პრაქტიკა

პრაქტიკა ხორციელდება (იხ. დანართი 3).

XVII. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

ლია კაპანაძე

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი

მანანა მოისწრაფიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ოთარ გელაშვილი

მიღებულია

მოდულირებული სახით

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
ოქმი №1, 20.09.2013წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ოთარ გელაშვილი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი

გოგი ძიძიგური